

ერთი გოლის ფასი

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 26 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) – "დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 1:0 (0:0).

"დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (წერეთელი), გუცაევი (გ. მაჩაიძე), ჩელებაძე, კოპალეიშვილი.

"დნეპრი": კოლტუნი, დანილევსკი, ნაიდა, ბოგდანოვი, შელესტი, ტომახი (პილიპჩუკი), შნეიდერმანი, სოლოვიოვი, სამოილენკო (გოლიკოვი), იაკოვლევი, მალკო.

მსაჯი: მ. ჩერდანცევი (ალმა–ათა).

დუბლიორები – 3:1.

დნეპროპეტროვსკელთა გუნდი წლევანდელ სეზონში მეტოქეთათვის თავისებურ გამოცანად იქცა, რომელიც მოწინააღმდეგეებს ძნელი პრობლემის წინაშე აყენებს. რომელი "დნეპრია" ეს, რომელმაც კიევში ანგარიშით 3:1 დაამარცხა იქაური "დინამოს" სრული ძირითადი შემადგენლობა, თუ ის, რომელმაც სულ რამდენიმე დღის შემდეგ შინ, საკუთარ მინდორზე იოლად, ანგარიშით 3:0 დათმო მატჩი დონეცკის "შახტიორთან"?

ორიენტაციის აღება იმაზე, რომ დნეპროპეტროვსკელები ასევე სუსტად, სასხვათაშორისოდ ითამაშებდნენ თბილისში, რა თქმა უნდა, მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, თანაც ამ რთულ სიტუაციაში, რომელშიც დინამოელთა კოლექტივი აღმოჩნდა ამ თამაშის წინ. ტრავმების გამო მატჩში არ მონაწილეობდნენ ჭელიძე, მუჯირი, ყიფიანი და დარასელია. ეს დანაკლისი ფაქტიურად იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობა იძულებული იყო კარდინალური გადაადგილებანი მოეხდინა უკლებლივ ყველა რგოლში – დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც. დაუმატეთ ამას ის არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობაც, რომელშიც 26 აგვისტოსთვის იყო "დინამო" და პრობლემათა სიმწვავე ყველასთვის ცხადი გახდებოდა.

დაიწყო მატჩი და მაშინვე ნათელი შეიქნა, რომ "დნეპრი" ისეთივე საბრძოლო განწყობილებით თამაშობდა, როგორითაც კიევში. სტუმრებმა უმთავრეს ამოცანად დაისახეს გუცაევის ნეიტრალიზება. საამისო პერსონალური დავალება მიეცა შელესტს, გარდა ამისა, მას "ყოველ შემთხვევისთვის" სისტემატურად ეხმარებოდა დამზღვევი ძალა – შნეიდერმანი. ეს ტანდემი ყოველგვარი საშუალებით – ნებადართულითაც და აკრძალულითაც, ცდილობდა აეცილებინა ხიფათი საკუთარი კარისთვის. თუ რით დამთავრდა ეს ცდა, იმის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ გუცაევმა მატჩის საუკეთესო მოთამაშის სპეციალური პრიზი მიიღო.

სტუმრებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ეხსნათ თუნდაც ქულა. კოლექტივიზმის თვალსაზრისით გუნდი, უდავოდ, მაღალ დონეზე დგას. ყოველ ცალკეულ სათამაშო ვითარებაში, შეტევის დროსაც და დაცვაშიც, იზოლირებულად მებრძოლ დნეპროპეტროვსკელს ვერ ნახავთ. შელესტისა და შნეიდერმანის ზემოხსენებული იძულებითი წყვილის გარდა "დნეპრის" მოთამაშეები მუდამ ეხმარებოდნენ ერთმანეთს, თითქმის მთელი შემადგენლობით იხევდნენ დაცვაში და არც შეტევისას რჩებოდნენ ერთეულების სახით. იბრძვის ყველა ერთად, იბრძვის მინდვრის მთელ ტერიტორიაზე.

ასეთ პირობებში მათ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს საჯარო მოედანზე. დაახლოებით 30-ე წუთისთვის იერიშების მთელი სერიაც კი განახორციელეს, მაგრამ უშუალოდ გოვიამდე საქმე არ მისულა. სიძნელეებს უმისოდაც ართმევდნენ თავს მცველები და ნახევარმცველები.

პირველი ტაიმის დასაწყისში ბრძოლა თანაბარი იყო, შემდგომში ტერიტორიული უპირატესობა დინამოელებმა იგდეს ხელთ. თამაში გაიშალა. კოლტუნს მძიმე სამუშაო გაუჩნდა, ხოლო 35-ე წუთზე მისი კარი ბენზზე ეკიდა: ჩივაძის შესანიშნავი შორეული დარტყმა ძელმა მოიგვრია.

კიდევ უფრო იმატა დინამოელთა იერიშებმა შესვენების შემდეგ. ყოველი ბურთის მიღება, დამუშავება, ყოველი კომბინაციის გათამაშება ურთულეს ვითრებაში ხდებოდა. “დინამო” არაფერს თმობდა. ქულა მონინალმდეგის მინდორზე მისთვის სულ უფრო და უფრო რეალურ ფორმებს ღებულობდა, ამიტომ გუნდი მაქსიმალური ენერჯით, ნამდვილი თავგანწირვით იბრძოდა მისი საბოლოოდ მოპოვებისთვის.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, თბილისელები არ უკლებდნენ ტემპს, გუცაევის ორი გარღვევის შემდეგ სტუმრები ბედად გადაურჩნენ გოლს და როცა “დინამოს” გამარჯვების საქმე თითქმის უკვე საბოლოოდ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, თავიანთი სიტყვა თქვეს ახალგაზრდებმა – კოპალეიშვილმა და წერეთელმა. კოპალეიშვილმა მინდვრის სიღრმიდან სწრაფად გადაინაცვლა წინ, წამით გათავისუფლდა და მარცხნივ დაარტყა ბურთი – წერეთლისკენ. ამ პოზიციას, რომელშიც წერეთლი იყო, საგოლეს არავითარ შემთხვევაში ვერ უწოდებ. პირიქით, ფეხბურთელი შორს იყო ფლანგზე, დარტყმის სექტორიც ძალზე ვიწრო ჰქონდა და კოლტუნიც სწორად იდგა კარში. მაგრამ წერეთელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და სხვა სიტყვებს ვერ ვპოულობთ, ბრწყინვალედ დაარტყა. ეს იყო ულამაზესი გოლი – ბურთი ტყვიასავით ჩაეჭვდა კარის შორეულ კუთხეში.

ამ გოლის ფასი, მაყურებლისთვის მინიჭებულ ესთეტიკურ სიამოვნებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ძალზე დიდია. მან უაღრესად საჭირო გამარჯვება მოუტანა თბილისის “დინამოს”.

თბილისის ალკუ კალინინისა და კიროვის სახელობის რაიკომებს სპეციალური პრიზები ჰქონდათ დაწესებული ორივე გუნდის საუკეთესო მოთამაშეთათვის. ისინი გადაეცა გ. გუცაევს და ს. მალკოს.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 28 აგვისტო, 1976 წ.